

თავი I

მისია, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1.1. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნისპროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის დებულების, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სახე და საქმიანობის ფორმები**

2.1 ცენტრის ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს (შემდგომ პროგრამებს)

2.2 ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებს და ინტერესებს.

2.3 ცენტრი ამ დებულებით გათვალისწინებული მისიის და მიზნების განსახორციელებლად:

ა) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალით სასწავლო პროცესის მობილიზებას;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების ხელშესაწყობად იწვევს მაღალ კვალიფიციურ კადრებს და ახორციელებს მოწვეული მასწავლებლების გადამზადებას.

გ) აწყობს შეხვედრებს და კონფერენციებს;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ე) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მიღწევების შესახებ პერსონალის ინფორმირებას.

**მუხლი 3. ცენტრის მისია**

3.1

✓ საზოგადოების, სახელმწიფოსა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება.

✓ პრაქტიკოს - სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე

საერთაშორისო, მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

- ✓ მასწავლებლებისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ✓ ურთიერთობა დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
- ✓ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;
- ✓ განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ✓ ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

#### **მუხლი 4. მისიის რეალიზების ხერხები**

4.1. მისიის განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად, ცენტრი აღიარებული და უზრუნველყოფილია შემდეგი ძირეული აქტივობების განხორციელება:

ა) პროფესიულ სტუდენტზე (შემდგომში სტუდენტი) ორიენტირებული - მაქსიმალური მოქნილობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტს მოახდინოს ცოდნის მიღება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება სწავლების ძირითად დარგში. ასევე საკუთარი სწავლის შედეგებში გააძლიეროს პროფესიული მოღვაწეობის უნარები.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია სტუდენტისათვის საკუთარი არჩევანის სისწორეში დარწმუნების, პიროვნების ინტელექტუალური განვითარებისა და თანამედროვე დინამიურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ყველა პროგრამის სწავლის შედეგად, კურსდამთავრებული იძენს უნარებს, რაც აუცილებელი წინაპირობაა მისი მომავალი პროფესიული განვითარების, სწავლის მომავალი საჭიროების განსაზღვრის, სწავლის შესაძლებლობის განვითარებისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციისათვის.

4.2. ცენტრი იზიარებს და ქმედითი მექანიზმებით უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტის უფლებების რეალიზებას, ამასთან, ადგენს დამატებით სტანდარტებს თავისი სტუდენტებისათვის სასურველი სასწავლო კლიმატის შესაქმნელად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტისთვის შეუცვლელი სწავლის საფასურის გადახდას სწავლის საფეხურის ხანგრძლივობის განმავლობაში;

ბ) ქმნის საუკეთესო მატერიალურ და ტექნიკურ პირობებს სწავლისათვის

4.3. განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად ცენტრი ახორციელებს შემდეგ სტრატეგიებს:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ამუშავება - ხარისხის მართვის სტრატეგიების შემუშავება, ხარისხის მართვის აპარატის ჩამოყალიბება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი სტრატეგიების შესაბამისად;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, პერსონალის და რესურსების პერიოდული შეფასება საქმიანობის თითოეული სუბიექტის (ხარისხის მართვის სამსახური, პერსონალი/მასწავლებლები, სტუდენტები) მიერ;

გ) ადამიანური, პროგრამული და მატერიალური რესურსების განვითარების სტრატეგიების დასახვა და განხორციელება;

დ) აკრედიტაცია/ავტორიზაციის ყველა პროცესში მონაწილეობა;

4.4. ცენტრი უზრუნველყოფს საკუთარი სტუდენტების მომზადებას საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და თანამდროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით

4.5. კურიკულუმები შემუშავებულია მაქსიმალური მოქნილობის პრინციპებით. რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დარწმუნდეს საკუთარი არჩევანის სისწორეში.

## მუხლი 5. ცენტრის მიზნები და ამოცანები

5.1 ცენტრის მთავარი მიზნებია:

ა) შექმნას თანამედროვე ტიპის საერთაშორისო სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;

ბ) მოამზადოს თანამედროვე თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები;

გ) ხელი შეუწყოს იმ პროგრამების განვითარებასა და განხორციელებას, რომლებიც ამზადებს დღევანდელი ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სპეციალისტებს.

დ) საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის მიზნით დაამყაროს კონტაქტები უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

ე) შექმნას სტუდენტზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები;

ვ) უზრუნველყოს სასწავლო ბაზის შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე პროფესიული განათლების მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

5.2. ამ მიზნების შესრულებისათვის ცენტრი:

ა) ამზადებს სტუდენტს პროფესიული მოღვაწეობისათვის.

ბ) ზრუნავს როგორც მასწავლებლების ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

გ) ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს.

დ) ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სპორტისა და ხელოვნების განვითარებას, სტუდენტების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;

ე) თანამშრომლობს დამსაქმებლებთან;

ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას, როგორც სტუდენტებში ასევე პერსონალში;

ზ) ქმნის ყველა პირობას, სტუდენტებისა და პერსონალის/მასწავლებლის, სწავლისა და სწავლების აკადემიურ თავისუფლებისათვის;

თ) უზრუნველყოფს რელიგიურ და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

## **მუხლი 6. მისიის გაზიარების პრინციპი**

6.1. ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ვალდებულია ამოდიოდეს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ცენტრის მისიის განხორციელების მიზნებიდან და მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ამ მიზნების რეალიზებისაკენ.

6.2. ცენტრის მასწავლებლის/პერსონალის ერთ ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დაწესებულების მისიის გათავისება, მისი რეალიზების ქმედითი მექანიზმების განსჭვრეტა და მზაობა, აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროფესიული საქმიანობისათვის

6.3. სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან იცნობდნენ მისიას, ამასთან ცენტრის სასწავლო პროცესის თითოეული მონაწილე უფლებამოსილია შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები მისიასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 7. სასწავლო პროცესის ენა**

7.1. ცენტრში სასწავლო საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე.

## **თავი II**

### **ცენტრის მართვა, მართვის პრინციპები და სტრუქტურა**

## **მუხლი 8. ცენტრის მართვა**

ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი (შემდგომში - "დირექტორი").

## **მუხლი 9 ცენტრის პერსონალი**

9.1 ცენტრი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს რომელშიც ჩართულია მასწავლებლები/მოწვეული სპეციალისტები, პრაქტიკის ხელმძღვანელები და პროგრამის ხელმძღვანელები

## **მუხლი 10. მასწავლებლები**

10.1 ცენტრში სალექციო კურსს კითხულობენ მოწვეული მასწავლებლები

10.2 პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

## **მუხლი 11. პრაქტიკის ხელმძღვანელები**

11.1 პრაქტიკის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს 3 წლიანი გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

11.2 პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია შეასრულოს პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობები

## **მუხლი 12. პროგრამის ხელმძღვანელი**

12.1 სწავლის/სწავლებისა სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა.

12.2 პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, პროგრამის განმახორციელებელი პირი-მასწავლებელი,

12.3 პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს და ანთავისუფლებს რექტორი.

12.4 პროგრამის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშ-ვალდებულია დირექტორის და რექტორის წინაშე

12.5 პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მის დაქვემდებარებაში შემავალი პროგრამის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, რა მიზნითაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსის პროგრამების მოყვანას და განვითარებას;

ბ) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში შემავალ პროგრამაზე სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

გ) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში შემავალი პროგრამის შემუშავება/დახვეწა მასწავლებლებთან ერთად

გ) ახორციელებს მის კომპეტენციას განკუთვნილ სააქართველოს მოქმედ და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 13. ცენტრის მართვის პრინციპები**

13.1 ცენტრში მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ადამიანის ძირითადი და ფუნდამენტალური უფლებების დაცვას.

13.2 ცენტრი უზრუნველყოფს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვას.

13.3 ცენტრი თავისი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების დაცვას

### **მუხლი 14. ცენტრის დირექტორი**

14.1. დირექტორი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს

ცენტრის სახელით

14.2. ცენტრის თანამშრომლებს დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს

კოლეჯის რექტორი

14.3 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსის პროგრამებს - სილაბუსებს.

ბ) ამყარებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო ურთიერთობებს;

გ) კოორდინაციას უწევს ცენტრის საქმიანობას

14.4 დირექტორი ვალდებულია

ა) კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით მართოს ცენტრი მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და ცენტრის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) დაიცვას ცენტრის პატივი და ღირსება, როგორც ცენტრის შიგნით, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

### თავი III

#### მუხლი 15. ცენტრის სტრუქტურა

15.1 ცენტრი წარმოადგეს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს

15.2 კოლეჯის რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას ცენტრის ქვესტრუქტურული ერთეულები

13.2 რექტორის ბრძანებით შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და შექმნა.

### თავი IV

#### ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამები

#### მუხლი 16. ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამები

16.1 ცენტრი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს

#### მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წესი

17.1 ცენტრში პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებლები, პრატიკის ხელმძღვანელები, პროფესიული სტანდარტის, საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

17.2 პროგრამის მაღალკვალიფიციურად რეალიზებისათვის შესაძლებელია მასში აქტიურად იქნებიან ჩართულები სხვადასხვა ასოციაციების, სტუდენტთა და დამსაქმებელთა წარმომდგენლები

17.3 შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი წარედგინება ცენტრის დირექტორს, რომელიც საკუთარ რეკომენდაციასთან ერთად, პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს

17.4 დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიტანება პროგრამის დამტკიცების თარიღი, რექტორის ხელმოწერა, პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა.

#### მუხლი 18. სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმის შემუშავება

18.1 კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმას.

18.2 ცენტრის მოწვეული მასწავლებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ სარეკომენდაციო ფორმის გამოყენება სასწავლო კურსის პროგრამის შემუშავებისას. შესაძლებელია თავიანთი შეხედულებისამებრ სილაბუსში შეიტანონ დამატებითი პუნქტები

18.3 შემუშავებული სილაბუსის ერთიანი ფორმა არ შეიძლება ზღუდავდეს მასწავლებლების აკადემიურ თავისუფლებას, ჩარჩო ფორმა განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს სასწავლო კურსის პროგრამისადმი.

## **მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება**

19.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნებია:

- ა) უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე ევროპული საგანმანათლებლო სივრცის განვითარების სტრატეგიებთან;
- ბ) შემოწმდეს საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მოლოდინების დაკმაყოფილების ხარისხი.
- გ) კონტროლი გაეწიოს პროგრამის ადექვატურობას პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგებთან;
- დ) შემოწმდეს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების შესატყვისობა პროგრამის მოთხოვნებთან;
- ე) დადგინდეს პროგრამის როლი ცენტრის მისიის რეალიზებაში.

19.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პრინციპებია:

- ა) სისტემატურობა
- ბ) გამჭვირვალობა;
- გ) შეფასების შიდა და გარე მეთოდების კომბინირება;
- დ) შეფასებაში სტუდენტების, მასწავლებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა;
- ე) პროგრამის შეფასებაში პოტენციურ დამსაქმებელთა პოზიციის გათვალისწინება.

19.3 პროგრამის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალურად, ან ცენტრის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში.

19.4 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებიდან სამი თვის ვადაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ცენტრი იხილავს პროგრამის შეფასების შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის მოწონების, მოდიფიცირების, პროგრამის რესურსების ცვლილებისა ან პროგრამის გაუქმების თაობაზე, რაც წარდგინება დირექტორს და რექტორს

19.5 შეფასება ხორციელდება შემუშავებული კითხვარებით/ანკეტებით

19.6 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები აისახება ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამაში/პროგრამებში და სხვა დოკუმენტაციაში

## **მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წყაროები**

20.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დროს მოწმდება:

- ა) დაწესებულების მატერიალური რესურსები
- ბ) დაწესებულების ადამიანური რესურსები
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მოლოდინები
- ე) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომით ბაზარზე;

20.2 მატერიალური რესურსების შემოწმების დროს, დგინდება, არის თუ არა ცენტრის სარგებლობაში არსებული რესურსი პროგრამებით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად საკმარისი.

20.3 მატერიალური რესურსების შეფასებისას მხედველობაში მიიღება დაწესებულების სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთების ვარგისიანობა საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე, საბიბლიოთეკო რესურსების ადექვატურობა დისციპლინების სასწავლო კურსებით მითითებულ ლიტერატურასთან, ასევე სტუდენტებისა და მასწავლებელთა სურვილებთან, ელექტრონული ტექნოლოგიების ვარგისიანობას ცენტრის საქმიანობის სათანადო ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე და ა.შ.

20.4 დაწესებულების ადამიანური რესურსებით საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის უზრუნველყოფა შესატყვისი კომპეტენციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსით, ასევე შეფასება ცენტრის სტუდენტების მიერ.

20.5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მოლოდინების შეფასების დროს ცენტრის ახორციელებს ანკეტური გამოკითხვების გზით კვლევას კონკრეტული სამიზნე ჯგუფების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.) საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, გასათვალისწინებელი და შესაცვლელი კომპონენტების დადგენისა და პროგრამის სწავლის შედეგების დაკონკრეტებას.

20.6 საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შემოწმების შემთხვევაში ცენტრი ახორციელებს მისი კურსდამთავრებულების თანხმობით, ინფორმაციის შეგროვებას მათი პროფესიული და აკადემიური საქმიანობის შესახებ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახდენს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქცენტების კონკრეტიზაციას.

## **მუხლი 21. სასწავლო კურსის პროგრამების/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასება**

21.1 ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების (სასწავლო კურსი, სასწავლო კურსების მოდული (არსებობის შემთხვევაში), პრაქტიკული კომპონენტი) შეფასებას ახორციელებს ცენტრი

21.2 ცენტრი ასევე უფლებამოსილია მოიწვიოს სხვა შემფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების განსახორციელებლად;

21.3 საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების შეფასება ამ დებულებით დადგენილი მეთოდებითა და შეფასების მექანიზმებით და დამატებით ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან, შეფასების სისტემასთან სწავლის შედეგებთან და მეთოდებთან შესაბამისობას.

## **მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლა და გაუქმება**

22.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება ხდება:

ა) თუ შესაბამისი ნორმატიული საფუძველის ცვლილების გამო, პროგრამა აღარ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს;

ბ) თუ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგად, პროგრამამ არადაამკმაყოფილი შეფასება დაიმსახურა;

გ) თუ აღნიშნულ პროგრამაზე რიცხული სტუდენტების რაოდენობა 5-ზე ნაკლებია;

დ) თუ ცენტრის მიზნების შეცვლის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება ცენტრის საქმიანობის სტრატეგიებს.

22.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით.

## **მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი**

23.1 ცენტრი საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

23.2 სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს ცენტრის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა დაწესებულებაში.

23.3 პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.

23.4 შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

23.5 დამატებით სემესტრში/ვადაში ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას სტუდენტი განთავსდებოდა სწავლის გადასახადისგან.

23.6 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს სურვილი აქვს სწავლა განაგრძონ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

23.7 კოლეჯის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმის (შეთანხმების) საფუძველზე სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების უფლებით, ცენტრში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების შეწყვეტის შემთხვევაში.

23.8 საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად ცენტრი უზრუნველყოფს მათთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

## **24 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევანის გამჭვირვალობა**

24.1 დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას, ამ მიზნით:

ა) დაწესებულება ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსებს საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგს, რომელიც მოიცავს:

ინფორმაციას დაწესებულების შესახებ;

საკონტაქტი პირის ვინაობას;

მისანიჭებელი კვალიფიკაციებს;

პროგრამების მიზნებს,;

სწავლის შედეგებს;

კრედიტებს ;

შეფასების წესებს;

ბ) ცენტრი განახორციელებს კონსულტაციებს აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით

გ) ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსებს პროგრამის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს

**თავი V**  
**საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების წესი**

**მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები**

25.1 საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ათვისებული კრედიტებისა ან დაძლეული სასწავლო კურსების (მიღებული სწავლის შედეგების) შედარებას ცენტრის იმ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს ან ანახლებს სწავლას.

25.2 საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას, სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების რა ნაწილს ცნობს იგი საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის და აღნიშნულის შესაბამისად, განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელი ნაწილიდან განაგრძობს სტუდენტის სწავლას.

**მუხლი 26. პროგრამები, რომელთა სწავლის შედეგებს აღიარებს კოლეჯი**

26.1 ამ თავით დადგენილი წესით აღიარებას ექვემდებარება:

ა) დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პირობები**

27.1 კოლეჯი არ აღიარებს პროგრამებს, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება პროფესიულს საგანმანათლებლო პროგრამებს.

**მუხლი 28. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი**

28.1 საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე შესაძლებელია მოიცვას სტუდენტის მიერ გავლილი საგნების ამსახველი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსები) შინაარსობრივი კვლევა.

28.2 პროგრამის აღიარების დროს ხდება პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო დისციპლინების კრედიტების შედარება ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან.

28.3 პროგრამის აღიარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რომელიც მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესით დადგენილი პირობებით, ახდენს პროგრამის აღიარების მსურველის დაგროვებული კრედიტების შედარებას ამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან.

28.4 სასწავლო დისციპლინათა შედარების დროს მხედველობაში მიიღება სასწავლო დისციპლინებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის აღიარების მსურველი სტუდენტის მიერ მიპოვებულ სწავლის შედეგებთან.

28.5 განსხვავებული სახელწოდების, მაგრამ მსგავსი შინაარსისა და იდენტური სწავლის შედეგების სასწავლო დისციპლინები, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ერთმანეთის ტოლფასად, და ასეთ დისციპლინაში დაგროვებული კრედიტების სტუდენტს უღიარდება.

28.6 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ გავლილი და ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ სტუდენტის მიერ გავლილი დისციპლინის სწავლის შედეგები უფრო მცირეა, ასეთი დისციპლინის კრედიტების აღიარებისათვის, შესაძლებელია მოეთხოვოს დამატებითი გამოცდის, გასაუბრების ან ტესტირების გავლა, თავისი სწავლის შედეგების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

28.7 ცენტრის სწავლების ენასგან განსხვავებულ ენაზე გავლილი სასწავლო დისციპლინები შესაძლებელია აღიარებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია, რომელიც საკმარისია აღნიშნული დისციპლინის ორივე ენაზე დასაძლევად.

28.8 სტუდენტის მიერ იმ სასწავლო დისციპლინებში დაგროვებული კრედიტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ცენტრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნას როგორც არჩევითი სასწავლო დისციპლინები, თუ კურიკულუმი ითვალისწინებს არჩევითი კრედიტების მოცულობას სტუდენტის საერთო დატვირთვაში.

28.9 აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ის სასწავლო დისციპლინები, რომელთა შესწავლის საგანი და სწავლის შედეგები იდენტურია, ან მთლიანობაში მსგავსია ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინის სწავლის შედეგებისა.

28.10 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილისა და ცენტრის იმ საგანმანათლებლო პროგრამას შორის, რომელზედაც პირს სურს სწავლის გაგრძელება, ცენტრი უფლებამოსილია, დამატებით მოსთხოვოს პირს კურიკულუმის, ან/და სასწავლო დისციპლინების სილაბუსების წარმოდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/მისი ნაწილის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

28.11 დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენაზე პასუხისმგებელია სტუდენტი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს შესაბამისი კრედიტების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

## **მუხლი 29. პროგრამების ურთიერთაღიარების გამარტივებული წესი**

29.1 კოლეჯი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აფორმებს შეთანხმებებს (მემორანდუმებს) საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთაღიარების შესახებ.

29.2 კოლეჯსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შორის მსგავსი მემორანდუმის არსებობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამების აღიარება განხორციელდება გამარტივებული, ამ მემორანდუმით დადგენილი წესით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნა

29.3 საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთაღიარების მემორანდუმის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი სრული მოცულობით აღიარებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს.

## **მუხლი 30. პროგრამის აღიარების გაფორმება და მისი შედეგები**

30.1 პროგრამის აღიარება ფორმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე პროგრამის აღიარების შესახებ, რომელშიც დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამისა და მიმღები დაწესებულების პროგრამას შორის და ცენტრის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

30.2 დასკვნა წარდგინება რექტორს, რის შემდეგ გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი

30.3 ნულოვანი შესაბამისობა პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა და ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამას შორის არ ართმევს ამ პირს უფლებას ჩაირიცხოს მიმღებ დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად გაიაროს ცენტრის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.

30.4 სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული საგნების გავლა საგანმანათლებლო პროგრამით მიმდინარე პერიოდში გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

## თავი VI

### სტუდენტი

#### მუხლი 31. სტუდენტი

31.1 სტუდენტად ითვლება ის პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებითა და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

#### მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

32.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის N9/ნ ბრძანებისა და ამ დებულების საფუძველზე;

32.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე; (არასრულწლოვანი განმცხადებელის ნაცვლად განცხადებას ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არასრულწლოვანი განმცხადებელის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

გ) სრული ზოგადი/საბაზო/საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) იმ პროგრამაზე ჩასარიცხად, რომელსაც აქვს წინა საფეხური, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს წინა საფეხურზე სწავლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი ან არაფორმალური განათლების წესით შესაბამისი საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი).

ე) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;

ვ) რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება მსურველთა შესაბამის პროფესიულ

პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება სტუდენტურ ბაზაში.

ზ) სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურის დასრულებამდე (შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემამდე, თუ მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმდებიან).

32.3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ასევე საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით

32.4. სტუდენტი უფლებამოსილია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია და გააფორმოს ცენტრთან სასწავლო ხელშეკრულება

32.5. რეგისტრაციის გავლის და ხელშეკრულების გაფორმების შედეგად პირი მოიპოვებს ცენტრის სტუდენტის სტატუსს და ისარგებლებს სტუდენტის ყველა უფლება-მოვალეობით.

### **მუხლი 33. აკადემიური რეგისტრაცია**

33.1. რეგისტრაციის მიზანია:

- ა) დაადასტუროს სტუდენტის მიერ შესაბამის პროგრამაზე სწავლის სურვილი;
- გ) უზრუნველყოს სტუდენტის რეგისტრაცია

### **მუხლი 34. ხელშეკრულება კოლეჯსა და სტუდენტს შორის**

34.1 გარდა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებისა სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა, სტუდენტის მიერ კოლეჯთან ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმება.

34.2 სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

- ა) ხელშეკრულების მხარეები (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში სავალდებულოა მშობლის, ან კანონიერი წარმომადგენლის დასტური);
- ბ) მხარეთა რეკვიზიტები;
- გ) სწავლების საფასური;
- დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ე) მხარეთა ხელმოწერა.

34.3 ხელშეკრულებას ხელს აწერს ერთი მხრივ რექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი და მეორეს მხრივ სრულწლოვანი სტუდენტი, ან არასრულწლოვანი სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი.

34.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

### **მუხლი 35. სწავლის საფასური, მისი გადახდის წესი და შეღავათები**

35.1 კოლეჯში სწავლის საფასურს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ადგენს რექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

35.2 სწავლის საფასურის ოდენობა გადახდილი უნდა იყოს შესაბამისი სწავლის დაწყებამდე,

35.3 რექტორის ბრძანებით შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის სხვა გრაფიკი.

35.4 სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, კოლეჯის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

### **მუხლი 36. სტუდენტის უფლებები**

36.1 სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი პროფესიული განათლება, აქტიურად იყოს ჩართული კოლეჯის ყოველდღიურ საქმიანობაში.

36.2 დაუშვებელია სტუდენტების კანონის საფუძველზე მინიჭებული თავისუფლების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი ცენტრის მისიის, მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისაკენ.

36.3 სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადებულ ვადაში შეავსოს აკადემიური რეგისტრაციის განაცხადი
- ბ) დაესწროს მეცადინეობებს სასწავლო ცხრილის შესაბამისად;
- გ) საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს სააუდიტორიო მუშაობები;
- დ) რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესის დაცვით გადაიხადოს სწავლის საფასური
- ე) გააფორმოს ან გააგრძელოს კოლეჯთან ხელშეკრულება;
- ვ) განახორციელოს არჩევითი სასწავლო დისციპლინების არჩევა (არსებობის შემთხვევაში);
- ზ) აითვისოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები;
- თ) საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს შუალედური და საბოლოო გამოცდები;
- ი) დაიცვას კოლეჯის და ცენტრის დებულებით განსაზღვრული მოვალეობები ;
- კ) დროულად გადაიხადოს სწავლის საფასური;
- ლ) დაიცვას ეთიკის ნორმები.

### **მუხლი 37. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

37.1 სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა, და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე, განცხადებაში მითითებული ვადით.

37.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

37.3 ამ მუხლი პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის (აკადემიური შევებულება) გარდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

- ა) ავადმყოფობა;
- გ) უცხო ქვეყანაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- დ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა (ფინანსური დავალიანება);
- ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

37.4 სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

37.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 1 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

37.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით.

37.7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები რაც გახდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

37.8. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

### **მუხლი 38 . სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

**38.1.** სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიუღწევლობა პროგრამაზე სწავლისას კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით.

დ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური მოუსწრებლობის გამო, რაც გამოიხატება ერთი სასწავლო კურსის/დისციპლინის სამჯერ ჩაუბარებლობით

ე) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ვ) კოლეჯის და ცენტრის დებულებების, სტრუქტურულ ერთეულთა დებულების და სხვა შიდა სამართლებრივ აქტების განზრახ უხეში დარღვევა, რაც მნიშვნელოვანს ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის სტუდენტებს, მასწავლებლებს თუ ადმინისტრაციულ პერსონალს;

ზ) გარდაცვალება.

38.2. ცენტრი ვალდებულია პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია, მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის საშუალება.

38.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის დასაბუთებული ბრძანებით.

38.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

38.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

38.6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან (დებულებასთან).

### **თავი 39. სტუდენტთა მობილობის პროცედურა**

**39.1** ცენტრში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის (მობილობის) პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

39.2 მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ავტორიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

39.3 კოლეჯში ჩარიცხვისათვის პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება; (არასრულწლოვანი განმცხადებელის ნაცვლად განცხადებას ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არასრულწლოვანი განმცხადებელის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

გ) სრული ზოგადი/საბაზო/საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სასწავლო ბარათის ასლი (დამოწმებული გამომშვები დაწესებულების ბეჭდით)

ე) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;

39.4 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები მობილობის მიერ დამღეული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილისა და კოლეჯის იმ საგანმანათლებლო პროგრამას შორის, რომელზედაც პირს სურს სწავლის გაგრძელება, კოლეჯი უფლებამოსილია, დამატებით მოსთხოვოს პირს კურიკულუმის, ან/და სასწავლო დისციპლინების სილაბუსების წარმოდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/მისი ნაწილის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

39.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრის დახმარებით იხილავს მობილობის მსურველის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ადგენს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების შესაბამისობას ცენტრში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ადგენს დასკვნას, მობილობის მსურველის კომპეტენციების ცენტრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, კრედიტების აღიარებისა და მისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დონის განსაზღვრას, რომლიდანაც იგი გააგრძელებს სწავლას ცენტრში ჩარიცხვის შემდეგ.

39.6 მობილობის განხორციელება აისახება რექტორის ბრძანებაში

#### **მუხლი 40. შიდა მობილობის განხორციელების წესი**

40.1 შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადასვლას კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ერთი საფეხურის ფარგლებში.

40.2 შიდა მობილობის განხორციელება დასაშვებია სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

40.3 შიდა მობილობის განხორციელების მსურველი განცხადებით შიდა მობილობის განხორციელების თაობაზე მიმართავს რექტორს. რექტორის დავალების საფუძველზე, განცხადება რეაგირებისათვის გადაეცემა ცენტრის დირექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს,

40.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ცენტრის დირექტორი იხილავს წარმოდგენილ განცხადებას, და ადგენს შიდა მობილობის მსურველის კომპეტენციების შესაბამისობას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამების რა დონიდან განაგრძობს პირი სწავლას.

40.5 პროგრამების თავსებადობის განსაზღვრის დროს გამოიყენება ამ წესის მე-6 თავით დადგენილი წესი.

40.6 ცენტრი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს განსხვავებული საგნების გავლა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

40.7 შიდა მობილობის განხორციელება აისახება რექტორის ბრძანებაში.

## გარდამავალი დებულებები

### მუხლი 41. გარდამავალი დებულებები

41.1 წინამდებარე დებულებებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, რექტორის ბრძანებით.

41.2 წინამდებარე დებულება ძალაში შედის, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიღების შემდგომ

tsodna.edu.ge